სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/19

ქ. თბილისი

6 მარტი 2026 წ.

2026-2027 სასწავლო წლისათვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირი სტუდენტების რაოდენობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „2026-2027 სასწავლო წლისათვის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდებით/სამაგისტრო გამოცდებით და ერთიანი ეროვნული გამოცდების/სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 თებერვლის №55 დადგენილების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 6 მარტის სხდომის №01-05-02/06 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. „2026-2027 სასწავლო წლისათვის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდებით/სამაგისტრო გამოცდებით და ერთიანი ეროვნული გამოცდების/სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 თებერვლის №55 დადგენილებით განსაზღვრული მისაღებ სტუდენტთა რაოდენობების გარდა, 2026-2027 სასწავლო წლისათვის საქართველოს ტექნიკურ

უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირი სტუდენტების რაოდენობა განისაზღვროს 1384-ით.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**